ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7083110

ნომერი: AR11041667

თარიღი : 12.06.2024

გაცემის თარიღი : 14.06.2024

გაცნობის თარიღი : 17.06.2024

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ალ.ყაზბეგის გამზირი N21;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო ბერიძე პ/ნ 01019021097
- ქ. თბილისი, ზესტაფონის ქ. #19კორპ.ა.ბინა43

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის№255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების თანახმად.

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

1. ინტერაქტიული რუკა: ნაცვლად მთლიანად მიწის ნაკვეთისა (4 220.00 კვ.მ) განსაზვრული უნდა იყოს სარეკონსტრუქციო ნაგებობის საპროექტო ტრაექტორია (ან წარმოდგენილი იქნას ახალი განცხადება, სადაც თავიდანვე ზუსტად იქნება განსაზღვრული ტრაექტორია);
2. ფოტომონტაჟი: გეგმაზე აისახოს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული სხვა ხაზობრივი ნაგებობები (შესაბამისი საკადასტრო კოდებით) და მათი არსებობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნას შესაბამისი თანხმობები (შეთანხმებული სქემა). გეგმაზე მიეთითოს ასევე არსებული ქსელი (მესაკუთრის მონაცემებით), რომელზედაც მოთხოვნილია დაერთება. დოკუმენტაციაში ასევე მიეთითოს საპროექტო ნაგებობის ტექნიკური მახასიათებლები (ვოლტი). დოკუმენტი დამოწმებული/ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირ(ებ)ის მიერ;
3. წარმოსადგენია არსებული ხაზობრივი ნაგებობის (რომლის რეკონსტრუქციაც მოთხოვნილია განცხადებით) საკუთრებისა და კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისად არსებული/რეგისტრირებული მესაკუთრის მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობით;
4. სს „პროკრედიტ ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204851197) ხელმძღვანელობაზე / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირების: გენერალური დირექტორის ალექსი მატუასა (პირადი 19001003556) და დირექტორი ზეინაბ ლომაშვილის (პირადი 60001084552) მიერ განმცხადებელ ნინო ბერიძის (პირადი 01019021097) სახელზე წერილობით გაცემული და სათანადო წესით დამოწმებული მინდობილობა (მინდობილობის დამოწმება უნდა განხორციელდეს სანოტარო წესით ანდა სს „პროკრედიტ ბანკის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204851197) უნივერსალური მაიდენტიფიცირებელი ბეჭდით);

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში არ წარმოადგენთ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- განემარტოს განმცხადებელს, რომ ლეგალიზება იმავდროულად ნიშნავს ობიექტის ან მისი ნაწილის ექსპლუატაციაში მიღებას.